



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მანდილი



მანდილი ხევსურული, ცალყურა. XIX ს.

მანდილი, ქალის კომპლექსური თავსაბურავის ერთ-ერთი ელემენტი. გავრცელებული იყო უმთავრესად აღმ. საქართველოში (ხევსურეთი და თუშეთი). გრძელი, ყელსახვევის მსგავსი ხევსურული მ. შინ ნაქსოვი შავი ან ლურჯი შალისაგან (ტოლი) მზადდებოდა და სათაურასთან ერთად იხმარებოდა. იგი ორი სახისა იყო: „ცალქერქა“ და „ორქერქა“. „ცალქერქას“ ერთი ბოლო „ფესვიტ“ (ფორი) მთავრდებოდა, მეორე კი – „შიბით“ (წნული სახის ნაკერი) ამოქარგული იყო ან ჰქონდა „ნაჭრელით“ ნაქარგი. მ-ის შუაში ამოქარგული იყო, „სამხატი“ (3 ჯვარი), რ-იც თავზე მოხვევისას შუბლზე უნდა მოქცეულიყო. „ორქერქა“ მ. („ორშიანი“, „ორგანი“) ორშიანი ტოლისაგან (შალი) მზადდებოდა და მხოლოდ ხატობა-დღესასწაულების დროს იხურავდნენ. თუშური სამკუთხა მ. შავი ქიშმირის ან სატინისაგან მზადდებოდა. ერთი ყური შედარებით პატარა

ჰქონდა. ხევსურეთსა და თუშეთში მ. გათხოვილი ქალის სავალდებულო თავსაბურავად ითვლებოდა გაუთხოვარი ქალისათვის კი მისი ტარება არ იყო აუცილებელი. თუში ქალი მ-ს ხმარობდა ცალკე ან „კუჭურასთან“ (მანდილის ქვეშ სატარებელი) ერთად. აღმ. საქართველოში მას დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ: მ-ის ჩაგდების შემდეგ მოჩხუბრები წყვეტდნენ შეტაკებას.

ლიტ.: ბ ე ზ ა რ ა შ ვ ი ლ ი ც., ქალის სამოსელი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1974; ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი,

რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2011; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, [ტ.] 3-4, თბ., 1962.

ლ. მოლოდინი
